ოქმი N6

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2021 წლის 29 ივნისი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 28 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრასა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირებისა და საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის,
ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი);

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივ ბიუჯეტის ხარჯები მცირდება 243,4 ათასი ლარით, კერძოდ, პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის" მუხლის ,,არაფინანსური აქტივების ზრდა" ასიგნებები მცირდება 143,4 ათასი ლარით, 100,0 ათასი ლარით მცირდება პრიორიტეტის ,,განათლება" მუხლის ,,სუბსიდიები" ასიგნებები. გამონთავისუფლებული 243,4 ათასი ლარი მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: 180,0 ათასი ლარი მიიმართება პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის" მუხლის ,,არაფინანსური აქტივების ზრდა" ასიგნებებზე, პრიორიტეტის ,,მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა" ასიგნებებზე - 63,4 ათასი ლარი. იზრდება შემოსავლები ბიუჯეტში 1000000 ლარით „გრანტებიდან" (გრანტები ცენტრალური სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ბ)-დან) და მიემართება პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის" მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდის" ასიგნებაზე. ასევე იზრდება შემოსავლები 2100,6 ათასი ლარით „გრანტებიდან" (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) და მიემართება პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის" პროგრამის „არაფინანსური აქტივების ზრდის" ასიგნებაზე. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N68 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა გაიზარდა 3100,6 ათასი ლარით და შეადგინა 17447,2 ათასი ლარი. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სერიოზული ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ლ.ცატავა, ი. ნადარაია)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრასა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით ბიუროს სხდომაზე იყო მსჯელობა, სადაც საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მიერ, დასკვნა იქნა წარმოდგენილი, სადაც იყო შენიშვნები, რომელსაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ. იქვე სთხოვა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის ტავმჯდომარეს (დ. ბერაია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

დ. ბერაია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ 96-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურში დასაქმებული უნდა იყოს ბავშვის ფსიქოლოგი, რისთვისაც ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხა შრომითი ხელშეკრულებით ფსიქოლოგის დასასაქმებლად. „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა საჭიროებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებას, თუ საჯარო დაწესებულებაში 30 დღეზე მეტი ვადით გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა აღემატება შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებზე

ფაქტობრივად დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობის 1%-ს. იმ საჯარო დაწესებულებაში, სადაც საშტატო რიცხოვნობის 1% 5 ერთეულზე ნაკლებია, შეთანხმებას საჭიროებს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა, რომელიც 5 ერთეულზე მეტია", ხოლო ამავე კანონის ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს მუნიციპალიტეტის (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა) შემთხვევაში საკითხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას. მიმდინარე ეტაპზე, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მუშაობის პროცესში გამოვლინდა ოჯახები, რომლებიც საჭიროებენ ფსიქოლოგის კონსულტაციასა და დახმარებას, დღის წესრიგში დამდგარი არამუდმივი ამოცანის გადაჭრის მიზნით აუცილებელია დაიდოს ხელშეკრულება ფსიქოლოგთან. ვინაიდან, ზემოთ აღნიშნული კანონით, საკრებულოსთან შეთანხმებას საჭიროებს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა, რომელიც 5 ერთეულზე მეტია მერიის საშტატო რიცხოვნობის (139 თანამდებობა) 1%-ისა, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრასა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ". გამომსვლელის განცხადებით, კომისიას მიზანშეუწონლად მიაჩნია ზემოთ აღნიშნული განკარგულების წარმოდგენილი სახით მიღება, ვინაიდან განკარგულების პროექტის პირველ მუხლში არსებული ჩანაწერი, თითქოს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულია 7 პოზიცია, არ არის სწორი. მერიას, დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ჰყავს 6 პიროვნება, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. მერიის მიერ მიზანშეწონილად არის მიჩნეული, არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის 1 ერთეულით განსაზღვრა, საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსი" 96-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურში დასაქმებული უნდა იყოს ბავშვის ფსიქოლოგი, რაზედაც მერი ითხოვს თანხმობას. „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისი დაიშვება საკრებულოსთან შეთანხმებით. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიის მიერ შემუშავდა განკარგულების პროექტის ალტერნატიული ვარიანტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში არამუდმივი ამოცანების

შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ", რომლითაც მერს ეძლევა თანხმობა საჯარო დაწესებულებისთვის დაწესებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე და ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის 1 ერთეულით განსაზღვრის თაობაზე. კომისიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

აზრი გამოთქვეს: ზ. ბუკია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ საკრებულოს იურიდიულ კომისიის თავმჯდომარესთან ჰქონდა კომუნიკაცია პროექტის საკრებულოში წარმოდგენამდე და გარკვეული ხასიათის შენიშვნები გათვალისწინებულ იქნა პროექტში. დღეს წარმოდგენილ დასკვნას კი არ ეთანხმება, რათა სრულად არ აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას.

დ. გაბუნია - გამომსვლელი დაინტერესდა, თუ ექვსი პიროვნება დანიშნული იყო და საჭიროა ერთი თანამშრომლის ხელშეკრულებით აყვანა, მაშინ ორ პიროვნებაზე რატომ ითხოვთ თანხმობას? თუ მანამდე იყო 6 თანამშრომელი არასწორად დანიშნული?

ზ. ბუკია - გამომსვლელმა განმარტა, რომ ექვსივე თანამშრომელი სწორად იყო დანიშნული და ახლაც ფაქტობრივად ითხოვენ, ერთი თანამშრომლის ხელშეკრულებით აყვანაზე თანხმობას.

დებატების დასრულების შემდგომ ჩატარდა კენჭისყრა

კენჭი ეყარა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ლ. ცატავა, ი. ნადარაია, კ. ლატარია, რ. სერგია, ნ. ვეკუა)

კენჭი ეყარა მერიის მიერ წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 0, წინააღმდეგი – 24

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ლ. ცატავა, ი. ნადარაია, კ. ლატარია, რ. სერგია, ნ. ვეკუა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N14 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირებისა და საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირებისა და საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ბიუროს სხდომაზე იყო საუბარი, ქალაქში საგზაო ნიშნების არასწორად და დამატებით განტავსებასთან დაკავშირებით, ასევე მერიის ადმინისტრაციულ შენობისკენ მომავალ გზაზე ზებრა გადასასვლელის მოწყობასთან დაკავშირებით და აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით მერიის შესაბამის სამსახურს მიმართავენ ოფიციალურად.

აზრი გამოთქვეს: ზ. ბუკია - გამომსვლელმა განმარტა, რომ რაც შეეხებოდა ზებრა გადასასვლელს, ოფიციალური წერილით მიმართეს შესაბამის უწყებებს და პასუხს ელოდებიან, ხოლო სხვა პრობლემებთან დაკავშირებით ჰქონდათ სატელეფონო საუბარი შესაბამის უწყებებთან.

ე. ჯობავა - გამომსვლელის განცხადებით, მოსახლეობის მხრიდან არის პრეტენზიები ცოტნე დადიანის ქუჩაზე, ეკლესიასთან და N1 საბავშვო ბაღთან ე.წ. „მწოლიარე პოლიციელის“ განტავსებასთან დაკავშირებით.

ზ. ბუკია - გამომსვლელის განცხადებით, თავიდან მოსახლეობის მოთხოვნით მერიამ მიმართა საგზაო დეპარტამენტს შუამდგომლობით და განათავსეს ორ ადგილზე ე.წ. „მწოლიარე პოლიციელი“, ისევ მოსახლეობის მოთხოვნით დემონტაჟის მოთხოვნა მინიმუმ უხერხულია.

დებატების დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა, საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

3. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო - ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოდან მიღებული წერილით მუნიციპალიტეტის მერიას განემარტა ქ. ხობში აუცილებლად განსათავსებელი საგზაო ნიშნების შესახებ, რის საფუძველზეც მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის თანახმად ქალაქ ხობში განთავსდება შემდეგი საგზაო ნიშნები:

ა) რუსთაველისა და წერეთლის ქუჩების კვეთაზე - საგზაო ნიშანი 1.7.2.-1.7.3. ,,მეორე ხარისხოვან გზასთან გადაკვეთა'' 2 ცალი (რუსთაველის ქუჩაზე) და საგზაო ნიშანი 2.3 ,,დაუთმე გზა'' წერეთლის ქუჩის მხარეს;

ბ) რუსთაველისა და ფოთის ქუჩების კვეთაზე - საგზაო ნიშანი 4.3. ,,წრიული მოძრაობა'' (სამივე კვეთასთან) და საგზაო ნიშანი 2.3. ,,დაუთმე გზა'' (ფოთის ქუჩის მხარეს);

გ) დავით აღმაშენებლის ქუჩისა და დავით აღმაშენებლის პირველი შესახვევის კვეთაზე- საგზაო ნიშანი 2.3. ,,დაუთმე გზა'' დავით აღმაშენებელის პირველი შესახვევის მხარეს;

დ) დავით აღმაშენებლის ქუჩისა და დავით აღმაშენებლის მე-2 შესახვევის კვეთაზე- საგზაო ნიშანი 2.3. ,,დაუთმე გზა'' დავით აღმაშენებელის მე-2 შესახვევის მხარეს;

ე) ზ. გამსახურდიასა და 9 აპრილის ქუჩების კვეთაზე, ზ. გამსახურდიას ქუჩაზე მოეწყოს ქვეითად მოსიარულეთა ზებრა გადასასვლელი, აღიჭურვოს სათანადო საგზაო ნიშნით;

ვ) 9 აპრილისა და ცოტნე დადიანის ქუჩების კვეთაზე, 9 აპრილის ქუჩაზე მოეწყოს ქვეითად მოსიარულეთა ზებრა გადასასვლელი, აღიჭურვოს სათანადო საგზაო ნიშნით;

ზ) მ. კოსტავას ქუჩაზე ლიბერთი ბანკის მიმდებარედ მოეწყოს ქვეითად მოსიარულეთა ზებრა გადასასვლელი, აღიჭურვოს სათანადო საგზაო ნიშნით;

თ) ბერიას ქუჩის დასაწყისში ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელის მოწყობა. ქუჩის მარჯვენა მხარეს; პარკირების საგზაო ნიშანი 7.4. ,,დგომის ადგილი''. დამატებითი ინფორმაციის დაფით 8.6.1. სავალ ნაწილზე დატანილ იქნეს 30 მეტრის მანძილზე პარალელური პარკირების ჰორიზონტალური მონიშვნა;

ი) ზ. გამსახურდიას ქუჩის დასაწყისში 9 აპრილის ქუჩის მიმართულებით გზის მარცხენა მხარეს საგზაო ნიშანი 7,4, „დგომის ადგილი" , დამატებით ინფორმაციის დაფით 8.6.1 სავალ ნაწილზე დატანილ იქნეს 50 მეტრის მანძილზე პარალელური პარკირების ჰორიზონტალური მონიშვნა.

ხობის მუნიციპალიტეტის მერიას ერთობლივი განცხადებით ასევე მიმართა საჯიჯაოსა და ახალი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობამ საჯიჯაო-ახალი ხიბულის დამაკავშირებელ გზაზე მძიმეწონიანი მანქანების ალტერნატიული მარშრუტით გადაადგილების შესახებ, აღნიშნული მოთხოვნის თანახმად, საჯიჯაო-ახალი ხიბულის დამაკავშირებელ გზაზე ორივე მხარეს, საჯიჯაოსა და ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულებში განთავსდება საგზაო ნიშანი 3.12. ღერძზე დატვირთვის მასის შეზღუდვა. გამომსვლელის განცხადებით, მერიის მიერ წარმოდგენილ განკარგულების პროექტში ჩასწორებულ იქნა ტექნიკური შეცდომა (ჟ. შარტავას ქუჩის ნაცვლად ეწერა ბერიას ქუჩა), დანარჩენი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ლ. ცატავა, ი. ნადარაია, კ. ლატარია, რ. სერგია, ნ. ვეკუა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N15 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ც. ჯობავა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებში).

მოისმინეს: ც. ჯობავა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის

დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: დ. გაბუნია - გამომსვლელმა მიმართა მომხსენებელს და აღნიშნა, წარმოდგენილი პროექტით ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2021 წლის მუნიციპალურ პროგრამის სოციალურად დაუცველი ოჯახების, რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 ათას ქულას და რომელთა სახლები საჭიროებს სრულ ან ნაწილობრივ გადახურვას სახურავის და გადასახურად საჭირო სხვა მასალის ასევე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი სახლის გასამაგრებლად, ცემენტის და ბლოკის შეძენის მუხლში გამოყოფილი თანხა მომართვიანობიდან გამომდინარე არასაკმარისი აღმოჩნდა და ამ მუხლს დაემატა 68000 ლარი, არადა დღევანდელ ბიუჯეტის ცვლილების პროექტის, ამ მუხლში დამატებულია 48000 ლარი. გამომსვლელი დაინტერესდა, ეს მექანიკური შეცდომა იყო თუ სხვა რამე?

ც. ჯობავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ეს მექანიკური შეცდომა არ არის, პირველი ცვლილება განხორციელდა მარტის თვეში და 20000 ლარით შეივსო სოც პროგრამის შესაბამისი მუხლი, ამის შემდგომ აპრილის თვეში საკრებულოს განკარგულებით 20000 ლარით, კიდევ ერთხელ შეივსო ეს მუხლი, რომელიც მათ პროგრამაში არ ჰქონდათ შეტანილი და ის 20000 ათასი არის ასახული

დ. გაბუნია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ასე რომ ყოფილიყო წარმოდგენილ განმარტებით ბარათში გაშიფრული, შეკითხვებიც არ იქნებოდა.

ც. ჯობავა - გამომსვლელის განმარტებით, მიღებული იყო შენიშვნა და მომავლისთვის გათვალისწინებული იქნება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, კიდევ ხომ არ ექნებოდათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან დამატებით, რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. გაბუნია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

დ. გაბუნია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2021 წლის მუნიციპალურ პროგრამის სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 ათას ქულას და რომელთა სახლები საჭიროებს სრულ ან ნაწილობრივ გადახურვას) სახურავის და გადასახურად საჭირო სხვა მასალის ასევე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი სახლის გასამაგრებლად, ცემენტის და ბლოკის შეძენის მუხლში გამოყოფილი თანხა მომართვიანობიდან გამომდინარე არასაკმარისი აღმოჩნდა და დამატებულ იქნა 68000 ლარი. ეკონომიების ხარჯზე მოხდა თანხის (3000 ლარი) გადატანა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ბიუჯეტში.

გამომდინარე აქედან მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ, მომზადდა საკრებულოს განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომელიც მომზადებულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ლ. ცატავა, ი. ნადარაია, კ. ლატარია, რ. სერგია, ნ. ვეკუა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N16 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2021 წლის 29 ივნისის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. დოდო გაბუნია
4. დავით ბერაია
5. თეა გელანტია
6. ვლადიმერ ქანთარია
7. კახა ლატარია
8. ბექა მამაცაშვილი
9. მერაბ ფილიპია
10. ტარიელ ალექსანდრია
11. თენგიზ აბაკელია
12. ნიკოლოზ ვეკუა
13. გიგა ნასარაია
14. ავთანდილ ხუნჯუა
15. გოჩა სიჭინავა
16. მზია ლემონჯარია
17. კობა გოქაძე
18. გენადი ქაძანაია
19. იგორ გოგოლაძე
20. შადიმან ჭილაია
21. გია წულაია
22. აკაკი ხურცლავა
23. გოჩა ჯობავა
24. რამინ ხილაძე
25. კოსტანტინე ნასარაია
26. როლანდ სერგია
27. ირაკლი ნადარაია
28. კახა მიქაბერიძე